გიორგი მესხი[1]

სოკრატული მეთოდის გამოყენება ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სწავლებისას

აბსტრაქტი

სოკრატული მეთოდი ფართოდ გამოიყენება სასწავლო პრაქტიკაში აკადემიის დაარსების დღიდან. წარმოდგენილი კვლევის მიზნებისთვის სოკრატულ მეთოდს განვმარტავთ, როგორც დიალოგს ლექტორსა და სტუდენტს შორის, ასევე, როგორც საკითხის დიალექტიკურ და კრიტიკულ ანალიზს შეკითხვების მეშვეობით. წინამდებარე კვლევა არსებითად ეხება სოკრატული მეთოდის შესაბამისობას თანამედროვე სასწავლო დისციპლინების, კონკრეტულად კი - ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სწავლებისადმი. სოკრატული მეთოდის გამოყენების ფორმები, ტექნოლოგიის განვითარების კვალობაზე, მნიშვნელოვნად შეიცვალა (მაგ. უკანასკნელი წლების მანძილზე განსაკუთრებით აქტუალური გახდა ლექციებისა და სემინარების ონლაინ რეჟიმში ჩატარება). ინტელექტუალური საკუთრების სამართალი კი, იურისპრუდენციის ის დარგია, რომელიც, სწორედ, ტექნოლოგიურ განვითარებასა და, ზოგადად, სიახლეებს მოიცავს. გარდა ამისა, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი შეეხება არაერთ სადავო საკითხსაც, რომლის გაანალიზებისთვისაც საჭიროა სოკრატული მეთოდი - დიალექტიკური და კრიტიკული ანალიზის მოშველიება. კვლევის ავტორი წარმოადგენს რამდენიმე პრაქტიკულ დაკვირვებასაც აღნიშნული თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: სოკრატული მეთოდი, დიალოგი, კითხვები, ინტელექტუალური საკუთრება, კრიტიკული ანალიზი, ტექნოლოგია

შესავალი

ანტიკური ხანიდან დღემდე სოკრატული მეთოდი მზარდი ინტერესის საგანს წარმოადგენს. ათენში ყველა იცნობდა უცნაურ ამ ქალაქის უცნაურ მკვიდრს, ერთთავად ბაზრის შესასვლელთან, თუ აგორას საკრებულოსთან რომ იდგა და თავისებურ შეკითხვებს უსვამდა მეზობლებს, ნაცნობებსა და ზოგჯერ უცნობებსაც კი. ეს კითხვები იმდენად სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ, რომ ანტიკური ხანის ათენური ბაზრობიდან - თანამედროვე უნივერსიტეტებსა და აუდიტორიებში გადმოინაცვლეს. ამჟამად სოკრატული მეთოდი აღიარებულია, როგორც სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინათა სწავლებისთვის გამოსადეგი წარმატებული მეთოდთაგანი (კოვიდ პანდემიამ და ონლაინ ლექციებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი აქტუალობა). მეთოდი განსაკუთრებულად წარმატებულია მაშინ, როცა წარმოდგენილი საკითხი წინააღმდეგობრივია და მრავალი ასპექტის განხილვას საჭიროებს.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი - ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად წარმოქმნილი ეს შედარებით ახალი დარგი - მრავლად შეიცავს წინააღმდეგობრივ საკითხებს. იგი მოიცავს საავტორო უფლებას (ე.წ. copyright-ს) და ინდუსტრიულ საკუთრებას; ორივე მათგანი შედგება წინააღმდეგობრივი ასპექტებისგან და უხვ მასალას გვაძლევს დისკუსიისთვის. ამ თვალსაზრისით სოკრატული მეთოდი შეიძლება შესაფერი გამოდგეს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სწავლებისთვის და წინამდებარე კვლევის მიზანი, სწორედ, ამ შესაბამისობის შემოწმებაა. კვლევის ავტორი წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სოკრატული მეთოდით სწავლებისას მიღებულ გამოცდილებას. კვლევა იწყება სოკრატული მეთოდის იმ მახასიათებელთა განსაზღვრითა და განხილვით,

[1] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიწვეული ლექტორი, სამართლის დოქტორი (ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი), ელექტრონული ფოსტა: george.meskhi@law-school.de; meskhigeorge@yahoo.com;

რომლებიც რელევანტურობას ინარჩუნებენ ინტელექტუალური საკუთრების სამართალთან მიმართებაში. კვლევის შემდეგ ნაწილში წარმოდგენილი და განხილულია თვით ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესაბამისი ასპექტები სოკრატული მეთოდის აუცილებლობის ხაზგასასმელად.

I სოკრატული მეთოდის განვითარება

სოკრატული მეთოდის განმარტება საკმაოდ რთული ამოცანაა, რადგან ნებისმიერი ამგვარი განმარტების სისწორე თვითონვე აღძრავს სოკრატესეული კითხვების წყებას. სხვა აბსტრაქტული კატეგორიების მსგავსად (როგორიცაა, მაგ., აზროვნება, კვლევა, სიბრძნე, სიქველე და სხვ.), სოკრატული მეთოდიც ძნელად განსამარტავია[2] და მისი საყოველთაო დეფინიციის შემუშავება კიდევ უფრო ძნელია. სხვადასხვა სახელმძღვანელოებისა თუ ენციკლოპედიების მიერ შემოთავაზებული „სოკრატული მეთოდის" განმარტებანი ამიტომაც განსხვავდებიან ერთიმეორისგან მათი ავტორების მოსაზრებათა მიხედვით.[3] თუმცა, საგულისხმოა, რომ ამ განმარტებათა უმრავლესობა *შეკითხვებს* ეხება, სახელდობრ: კითხვის დასმას, როგორც შემეცნების მეთოდს. თუ ამ მეთოდს უკიდურესად გავამარტივებთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოკრატული მეთოდი, უბრალოდ, *კითხვების დასმაა*.[4] მაგრამ თუკი უფრო სრული და დეტალური ახსნა გვსურს, მაშინ სოკრატული მეთოდი უნდა განვმარტოთ, როგორც „ხერხი, რომლის გამოყენებითაც სოკრატე ასწავლიდა თავის მოწაფეებს"[5]. ეს უკანასკნელი დეფინიცია კი საჭიროებს იმის განმარტებასაც, თუ სახელდობრ როგორ ასწავლიდა სოკრატე თავის მოწაფეებს. სოკრატესა და სწავლების მისეული მეთოდის შესახებ დიდძალი მასალა არსებობს: უშუალოდ მისი მოწაფეების ნაშრომებით[6] დაწყებული, მისი დიალოგების ყველაზე უფრო თანამედროვე ინტერპრეტაციებით დამთავრებული. ცხადია, აქ ჩვენ არ ვაპირებთ მთელი ამ კორპუსის განხილვასა და შეჯამებას. წინამდებარე თავში ჩვენ წარმოვადგენთ მხოლოდ სოკრატული მეთოდის მთავარ მახასიათებლებს და ყურადღებას გავამახვილებთ მის ცალკეულ ელემენტებზე, რაც რელევანტურია ჩვენს მთავარ საკვლევ თემასთან - *ინტელექტუალური საკუთრების სწავლებასთან* მიმართებაში. საამისოდ ჩვენ შევეხებით ხსენებული მეთოდის წარმომავლობასა და საფუძვლებს, განვიხილავთ მისი გამოყენების პრაქტიკას უშუალოდ სოკრატეს მიერ და წარმოვადგენთ მეთოდის რამდენიმე ზოგად ინტერპრეტაციას, რაც უკვე სოკრატეს შემდეგ იქნა შემუშავებული.

1 სოკრატული მეთოდის საფუძვლები

ძველ საბერძნეთში, სოკრატემდე, ფილოსოფია უკვე მნიშვნელოვან დონეზე იყო განვითარებული. ჰერაკლიტეს და სხვა მოაზროვნეთა ნაშრომები ხელმისაწვდომი იყო იმ დროისთვის, როდესაც სოკრატე გამოჩნდა ასპარეზზე. შესაბამისად, სოკრატული მეთოდის საფუძვლები მის წინამორბედთა ნააზრევში უნდა ვეძებოთ. სადღეისოდ რთულია უშუალოდ სოკრატესთვის ძვ. წ. V საუკუნეში ხელმისაწვდომი მასალის შესახებ სრული სურათის აღდგენა, რადგან ამ ლიტრატურის უდიდესმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია და მხოლოდ შემორჩენილ ფრაგმენტებს, ან და მის მოწაფეთა მოგონებებს უნდა დავეყრდნოთ.[7] ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ სოკრატე იცნობდა თავის წინამორბედთა ნაშრომებს. მაგალითად, ჰერაკლიტეს ცნობილი გამონათქვამი „ბრძოლაა ყოვლის მამა და მბრძანებელი[8] (πόλεμος πάντων μὲν πατήρ ἐστι)"[9] მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო. ეს გამონათქვამი შეიძლება გავრცელდეს (გავრცელდა კიდეც) იდეებზე, იმ აზრით, რომ იდეათა შორის ბრძოლას, მათ დაპირისპირებას საბოლოოდ ჭეშმარიტებამდე მივყავართ.[10] სოკრატული დიალოგები იდეათა შორის, სწორედ,

[2] იხ. Giuseffi, Frank, How the Socratic Method Engenders Authentic Educational Experiences, Lexington Books, 2021, p. 7.

[3] ზოგი ავტორი სოკრატულ მეთოდს საერთოდ არ განმარტავს: ერთი მხრივ, ამგვარი განმარტების სირთულისა და, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ისედაც საყოველთაოდ ცნობილად მიაჩნია.

[4] იხ. Drozdek, Adam, Peoples, Katarzyna, Using the Socratic Method in Counseling: A Guide to Channeling Inborn Knowledge, Routledge 2018, p. 21.

[5] იხ. Dillon, James J., Teaching Psychology and the Socratic Method: Real Knowledge in a Virtual Age, Palgrave Macmillan 2016, p. 19.

[6] მაგ. პლატონი, ქსენოფონტე და სხვ.

[7] იხ. Emlyn-Jones, Chris, Early Socratic Dialogues, Penguin Books 2005, p. 10.

[8] იხ. ჰერაკლიტე, ფრაგმენტები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, წიგნიდან: ბაჩანა ბრეგვაძე, თხზულებები და თარგმანები, ახალი თარგმანები, 2006, ფრაგმენტი 53.

[9] იხ. Heraclitus, Fragments, Translated by G. T. W. Patrick, Digireads 2020, fragment 53.

[10] სწორედ ეს კონსტრუქცია დაედო საფუძვლად დიალექტიკურ მეთოდს, რომელიც პლატონმა შემოიღო და ჰეგელმა განავითარა.

ამგვარი ბრძოლის ილუსტრაციებია. მაგალითად, სოკრატესა და პროტაგორას დიალოგი წარმოადგენს ნამდვილ ბრძოლას მოსაზრებებს შორის, რომელთა ჩამოყალიბებაც ერთიმეორისთვის დასმული კითხვების მეშვეობით ხდება (ამან სათავე დაუდო თეორიას, რომ კითხვების დასმის სოკრატესეული მეთოდი თავდაპირველად პროტაგორამ განავითარა).[11] რა იმპულსები და შთაგონებანიც უნდა მიეღო თავისი მეთოდის შექმნისას, ცხადია, რომ თვით მეთოდი სოკრატემ განავითარა და სიცოცხლის ბოლო წუთამდე იყენებდა მას.[12] შესაბამისად, კითხვების დასმისა და მათი მეშვეობით ჭეშმარიტების წვდომის მეთოდი თავიდანვე სოკრატეს სახელს დაუკავშირდა.

2 სოკრატული მეთოდის პრაქტიკა

სოკრატული მეთოდის პირველი და ყველაზე ცნობილი პრაქტიკოსი თვითონ სოკრატე იყო. მას იცნობდნენ, როგორც თავისი მეთოდის გამომყენებელს ყოველდღიურ ყოფაში, ათენის ხალხმრავალ ადგილებში, აგორაზე, ან ბაზრის შესასვლელთან.[13] მისი თანამოსაუბრეები იყვნენ და მის აუდიტორიას შეადგენდნენ როგორც შემთხვევით გამვლელი ათენელები, ასევე, მთელ საბერძნეთში ცნობილი სწავლული სოფისტები. ამ უკანასკნელებთან საუბარი სოკრატეს განსაკუთრებულად აინტერესებდა: მათ საერთო მიზანი ჰქონდათ - შემეცნება, თუმცა, ამ მიზნისკენ მიმავალ გზებს განსხვავებულად ხედავდნენ.[14] ძველბერძნული სიტყვის σοφός (ბრძენი, ჭკვიანი, უნარიანი) მიხედვით, სოფისტი ნიშნავს „სიბრძნის, ჭკუისა და უნარის მქონე ადამიანს; ბრძენ, ჭკვიან და უნარიან პიროვნებას".[15] მართალია, სადღეისოდ ამ სიტყვამ უარყოფითი კონოტაცია შეიძინა,[16] მაგრამ სოფისტების მიზანი ხალხში ცოდნის გავრცელება იყო და ამ საგანმანათლებლო პროცესში მათი როლი მართლაც დიდია.[17] ჭკვიანებად, უნარიანებად და ბრძენკაცებად მიჩნეულ სოფისტებს ცოდნის გავრცელების თავიანთი მეთოდიც ჰქონდათ. სოკრატესეული თვალსაზრისით თუ შევხედავთ, სოფისტური მიდგომა აროგანტულად შეიძლება მოგვეჩვენოს, როგორც პოზიცია იმ ადამიანისა, თავისთავს ბრძენკაცად და ჭკვიანად რომ მიიჩნევს, ახლა კი, ამ თავისი სიბრძნისა და ჭკუის ხალხისათვის განაწილება დიდსულოვნად განუზრახავს, კვარცხლბეკზე დამდგარა და ქადაგებს. მეორე მხრივ, სოკრატული მეთოდი გაცილებით უფრო მოკრძალებულია და რამდენადმე ცბიერიც, რადგან ამოსავალ წერტილად მიაჩნია იმის გაცხადება, რომ არაფერი იცის,[18] უვიცი ბავშის როლს თამაშობს, რომელიც ამგვარი სოფისტისგან ელოდება განათლების მიღებას.[19] როგორც წესი, სოკრატე - ეს იდუმალი ირონისტი,[20] თავდაპირველად თითქოს მოპირდაპირე სოფისტის სიბრძნით აღფრთოვანებულია და საკუთარ უცოდინრობას სწუხს, შემდეგ კი, შემპარავად კითხულობს - რამდენად სწორია მიღებული პასუხი;[21] სწორედ, აქ იწყება სოკრატესეული გამოკითხვის ცნობილი მეთოდის ამოქმედება.

ამრიგად, შეგვიძლია, შევაჯამოთ სოკრატული მეთოდის ჩვენთვის საინტერესო *მახასიათებლები*: უპირველესად, სოკრატე მიდის პრობლემასთან არა როგორც ბრძენი და ყოვლისმცოდნე სოფისტი, არამედ როგორც მოკრძალებული მაძიებელი, რომელსაც მხოლოდ საკითხის გარკვევა სურს. ამის შემდეგ, უწინარესად, იგი ცდილობს კვლევის საგნის განსაზღვრას. ამ განსაზღვრებათა შემოწმებისას იგი ლამობს, დაადგინოს, რამდენად დამაკმაყოფილებელია ესა თუ ის განმარტება. ავტორიტეტების იგნორირება და უშუალოდ საკვლევ საკითხზე ფოკუსირება სოკრატული მეთოდის ძირითადი ატრი-

[11] იხ Corradi, Michele, Protagorean Socrates, Socratic Protagoras: A Narrative Strategy from Aristophanes to Plato, in: Socrates and the Socratic Dialogue, Edited by Alessandro Stavru, Christopher Moore, Brill 2018, p. 85.

[12] ფედონი (Φαίδων) წარმოადგენს სოკრატეს უკანასკნელ დიალოგს სულის უკვდავების შესახებ, რომელიც გაიმართა უშუალოდ სიკვდილით დასჯის აღსრულებისა და საწამლავის დალევის წინ.

[13] იხ. Lang, Mabel, Socrates in the Agora (Excavations of the Athenian Agora: Picture Book), American School of Classical Studies at Athen, 1978, p. 11.

[14] იხ. Kerferd G. B., The Sophistic Movement, Cambridge University Press 2001, p. 55.

[15] იხ. O'Grady, Patricia, What is a Sophist?, in: The Sophists, An Introduction, Edited by Patricia O'Grady, Bloomsbury, 2008, p. 9.

[16] იხ. Denyer, Nicholas, Introduction to Plato, Protagoras, Cambridge University Press 2008, p. 1.

[17] სოფისტების როლისა და მისი გვიანდელი ინტერპრეტაციების შესახებ იხ. Kerferd G. B., The Sophistic Movement, Cambridge University Press 2001, p. 9.

[18] „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი" სოკრატეს ცნობილი გამონათქვამია, რომელიც კონკრეტული წყაროებით დასტურდება, მაგალითად იხ. Plato, Apology, Translated By Benjamin Jowett, Qasim Idrees, 2017, p. 23.

[19] იხ. Emlyn-Jones, Chris, Early Socratic Dialogues, Penguin Books 2005, p. 20.

[20] ფრიდრიხ ნიცშემ სოკრატეს (სხვა ეპითეტებთან ერთად) „იდუმალი ირონისტი" უწოდა, იხ. ნიცშე ფრიდრიხ, ტრაგედიის დაბადება, გერმანულიდან თარგმნა გიორგი მესხმა, ჩვენი მწერლობა, თბილისი 2017, გვ. 32

[21] იხ. Emlyn-Jones, Chris, Early Socratic Dialogues, Penguin Books 2005, p. 29.

ბუტთაგანია. ისიც დამახასიათებელია, რომ სოკრატე არ ცდილობს პრობლემის საბოლოო გადაჭრას. პლატონის მიერ აღწერილი არაერთი დიალოგი ბუნდოვნად მთავრდება, დასაწყისში დასმულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხის გარეშე (ზოგჯერ - სრულიად უპასუხოდ).[22] ამდენად, სოკრატული მეთოდის მთავარი მიზანი *შეკითხვის აღძვრაა*, ფილოსოფოსობის დაწყება, და არა - პრობლემის საბოლოო, უნივერსალური გადაწყვეტა.

3 სოკრატული მეთოდის ინტერპრეტაციები

სოკრატული მეთოდის პირველი განმმარტებელნი თვითონ სოკრატეს მოწაფეები იყვნენ, თავიანთი მასწავლებლის ცხოვრების მაგალითით შთაგონებულნი, მისი პიროვნებით მოხიბლულნი და მისი სიკვდილით შეძრულნი, რის გამოც თავიანთი მასწავლებლის მოგონება და უკვდავყოფა განიზრახეს.[23] მათ შორის პლატონი ყველაზე უფრო ცნობილი და გავლენიანი აღმოჩნდა. პლატონის დიალოგების მთავარი პროტაგონისტი სოკრატეა, რაც ძალზე ართულებს ავტორისა და პროტაგონისტის ურთიერთობის გარკვევას: აქ შეუძლებელია მიჯნის გავლება და განსაზღვრა, რომელი აზრი ეკუთვნის მასწავლებელს და რომელი - მოწაფეს, რადგან დიალოგებში სოკრატესა და პლატონის იდეებს შორის მკვეთრი სამანი არ არსებობს. ამიტომაც მკლევარებს ძალიან უჭირთ ერთის გარჩევა მეორისგან. როგორი შედეგითაც უნდა დასრულდეს ამგვარი კვლევა, ერთი რამ ცხადია: შეკითხვის დასმის გზით ცოდნასთან ზიარება აშკარად სოკრატული მეთოდია. აქ მთავარი ისაა, რომ ცოდნა ყოველთვის ურთიერთობის, ინტერაქციის, დიალოგის, შეკითხვის დასმისა და პასუხის ძიების გზით მიიღწევა. მონოლოგისა და ქადაგების რეჟიმი (რასაც ხშირად მიმართავდნენ სოფისტები) სოკრატესთვის - და, შესაბამისად, პლატონისთვის - არ წარმოადგენს შემეცნების გზას. განსხვავება ისაა, პლატონმა დიალოგებს დაწერილი ტექსტის ფორმა რომ მისცა, სოკრატეს კი, არასოდეს არაფერი დაუწერია და ამითაც იყო ცნობილი. პლატონის ნაშრომები, მართალია, დაწერილი ტექსტებია, მაგრამ მათ დიალოგის ფორმა აქვთ, სადაც იდეები უპირისპირდებიან ერთიმეორეს[24] და სინთეზის მიღწევას ცდილობენ.[25] მაგრამ პლატონის მოწაფემ, არისტოტელემ, ვისი აზროვნებისა და წერის სტილიც უფრო მონოლოგური იყო, ვიდრე დიალოგური, ფილოსოფია სხვა გზით წაიყვანა. აკადემიური წერის თანამედროვე სტილზე არისტოტელეს გავლენა უფრო დიდია, ვიდრე პლატონისა, რადგან მას უფრო მეტად მონოლოგის ფორმა აქვს. მიუხედავად ამისა, სოკრატული (შესაბამისად - პლატონური) ელემენტები - *საკვლევი კითხვა* და *ჰიპოთეზა* - თანამედროვე აკადემიური სტილის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ. ლექციისა და, განსაკუთრებით, სემინარის ჩატარების თანამედროვე წესები სოკრატული გამოკითხვის მეთოდის გამოყენების საშუალებასაც გვაძლევენ. ხსენებული მეთოდის ფართოდ გამოყენება შეიძლება ისეთი წინააღმდეგობრივი და შედარებით თანამედროვე სფეროების განხილვისას, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრების სამართალი.

II ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, როგორც სოკრატული მეთოდის გამოყენების ობიექტი

სამართლისმცოდნეობის დაყოფა საჯარო და კერძო სამართლად ძველი ტრადიციაა.[26] ჩვენ, ასევე, შეგვიძლია დავყოთ კერძო (ან - სამოქალაქო) სამართალი 'ტრადიციულ' და 'თანამედროვე' სფეროებად. ისეთი დარგები, როგორიცაა, მაგალითად, სანივთო, ან ვალდებულებითი სამართალი, ძველ რომშიც კი არსებობდნენ, რომის სამოქალაქო სამართლის განვითარების დასაწყისში; ისინი სამართლის 'ტრადიციული' დარგების რიცხვს მიეკუთვნებიან და ევროპის კონტინენტზე თავიანთი არსებობის ათასწლეულებს ითვლიან.[27] ამასთანავე, კერძო სამართალში არსებობს არაერთი ახალი დარგი, რო-

[22] იხ., მაგალითად, გორგია, ლახესი, ლისია, მენონი და პლატონის სხვა ადრეული დიალოგები.

[23] იხ. Brisson, Luc, Plato and the Socratics, in: Socrates and the Socratic Dialogue, Edited by Alessandro Stavru, Christopher Moore, Brill 2018, p. 237.

[24] ჰერაკლიტეს ცნობილი გამოთქმის მსგავსად „ბრძოლაა ყოვლის მამა და მბრძანებელი (πόλεμος πάντων μὲν πατήρ ἐστι)", იხ. ჰერაკლიტე, ფრაგმენტები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, წიგნიდან: ბაჩანა ბრეგვაძე, თხზულებები და თარგმანები, ახალი თარგმანები, 2006, ფრაგმენტი 53.

[25] იხ. Cirne-Lima Carlos, Dialectic for Beginners, Porto Alegre, 1997, p. 79.

[26] ძნელი სათქმელია, კონკრეტულად როდის გაჩნდა დაყოფა საჯარო და კერძო სფეროებს შორის. მაგ. ოდისეის დასაწყისში ტელემაქე განასხვავებს ერთიმეორისგან სახალხო და პირადულ საქმეებს. იხ. Homer, The Odyssey, Translated by Dominic Rieu, Penguin Books, 2003, II, 40.

[27] იხ., მაგალითად, Huschke, Philipp Eduard: Über das Recht des nexum und das alte römische Schuldrecht: eine rechtshistorische Untersuchung, Leipzig : Gebauer, 1846, S. 2.

მელნიც თავიანთ არსებობას ტექნოლოგიურსა და საზოგადოებრივ განვითარებებს უმადლიან, მაგალითად საბანკო სამართალი, მედიასამართალი, ბიზნესსამართალი და არაერთი სხვა (ზოგი მათგანი ახლა იქმნება, ან და მომავალში შეიქმნება ადრე თუ გვიან). სამართლის 'ტრადიციულ' დარგებში ძირითადი პრინციპებისა და ცნებათა შემუშავება ათასწლეულების წინ მოხდა. სადისკუსიოდ დარჩა მხოლოდ მათი გამოყენება კონკრეტულ პრაქტიკულ შემთხვევებში. რაც შეეხება სამართლის 'თანამედროვე' დარგებს, ისინი გაცილებით უფრო წინააღმდეგობრივნი არიან: მათი არა მხოლოდ ცალკეული ნორმები და ცნებანი, არამედ ზოგჯერ თვით მათი არსებობის აუცილებლობაც შეიძლება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი იურისპრუდენციის, სწორედ, ამგვარი თანამედროვე, წინააღმდეგობრივი დარგების რიცხვს მიეკუთვნება. იგი შედგება ისეთი სფეროებისგან, რომელთა აღმოცენება ტექნოლოგიური თუ საზოგადოებრივი პროგრესის შედეგად მოხდა. მაგალითად, Copyright-ის, ანუ ასლის გადაღების უფლების მომწესრიგებელი სამართალი იოჰანეს გუტენბერგის მიერ საბეჭდი მანქანის გამოგონების შედეგად წარმოიქმნა, ხოლო მისი კონტინენტურევროპული ანალოგი - საავტორო სამართალი[28] XVIII საუკუნის ბოლოს განვითარდა, საფრანგეთის რევოლუციისა და ადამიანის უფლებათა დოქტრინის დამუშავების შედეგად.[29] ინდუსტრიული საკუთრების სამართალიც XIX საუკუნის მზარდ ტექნოლოგიურ პროგრესსა და ინდუსტრიის განვითარებას უმადლის თავის არსებობას.[30] ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მთავარი მახასიათებელი მისი დინამიურობაა: რაც დრო გადის, ტექნოლოგიური პროგრესის სიჩქარე უფრო და უფრო იზრდება, ხოლო ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ცდილობს, ნაბიჯი აუწყოს ამ სისწრაფეს ახალი ნორმებისა და რეგულაციების შექმნით. მეორე მხრივ, არა მხოლოდ ამ ნაჩქარევად შექმნილი ნორმებისა და რეგულაციების, არამედ თვით ინტელექტუალური საკუთრების სამართლის, როგორც ასეთის, არსებობის მიზანშეწონილობაც შეიძლება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. სწორედ, აქ გვჭირდება სოკრატული მეთოდი და მისი მთავარი ატრიბუტი - შეკითხვის დასმა.

აქ ჩვენ უნდა განვასხვავოთ პროფესორის ორი ტიპი: *პროფესორი-სოფისტი* და *პროფესორი-სოკრატე*. პირველი მათგანი თავისი დროისა და ენერგიის უდიდეს ნაწილს ახმარს სტუდენტების განათლებას, მათთვის ცოდნის გადაცემას კონკრეტული დარგის ძირითადი პრინციპებისა და ნორმების შესახებ - რაც სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს სამართლის 'ტრადიციულ' დარგთან. მეორე მხრივ, პროფესორი-სოკრატე ორიენტირებულია სტუდენტებისთვის შეკითხვების დასმაზე, რათა ცხადი გახდეს მათი მოსაზრებანი ხსენებული პრინციპებისა და ნორმების შესახებ, ხოლო ცალკეულ განმარტებათა, ნორმებისა და თარიღების დაზუთხვას არ აიძულებს მათ. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი უხვად შეიცავს იმგვარ საკითხებს, რომელთა სოკრატული მეთოდით განხილვაც მიზანშეწონილია. თვით სამართლის ამ დარგის არსებობის მიზანშეწონილობაც აქტუალური საკითხია: საავტორო სამართალიც და ინდუსტრიული საკუთრების სამართალიც ხშირად არიან ხოლმე მიჩნეულნი გამომგონებლობის განვითარების, ან და, ზოგადად, ცოდნის გადაცემის ხელშემშლელ ხელოვნურ დაბრკოლებებად.[31] მისი ცალკეული ელემენტები, როგორიცაა ქონებრივი უფლებები, თავისუფალი გამოყენება, 'ცენზურირებული' სიმბოლოები და სხვა არაერთი საკითხი, ასევე, წინააღმდეგობრივია. ამ თვალსაზრისით, გამოცდილება აჩვენებს, რომ პროფესორი-სოკრატეს დისკუსიებში გამოხატული პრაქტიკა უფრო ნაყოფიერი შეიძლება იყოს. უკანასკნელი წლების გამოცდილებამაც დაადასტურა, რომ სტუდენტების ჩართულობა, განსაკუთრებით, ონლაინ ლექციებზე,[32] საკმაოდ პრობლემური საკითხია. ამ შემთხვევაში პროფესორი-სოკრატეს მიერ ინიცირებული დიალოგის რეჟიმი გაცილებით უფრო რელევანტური აღმოჩნდა, ვიდრე პროფესორი-სოფისტის მიერ წარმართული მონოლოგის რეჟიმი.

---

[28] droit d'auteur – ავტორის უფლება უნდა განვასხვავოთ copyright-ის, ანუ ასლის გადაღების უფლების ინგლისური კონცეფციისგან.

[29] იხ. Meskhi, George, From Soviet to European Copyright: The Challenges of Harmonizing the Copyright Legislations of Post-Soviet Non-EU States with the European Copyright Law (Georgian Case), Refubium, Berlin 2019, pp. 13-16.

[30] იხ. Seville, Catherine, EU Intellectual Property Law and Policy, Second Edition, Edward Elgar Publishing 2016, p. 106.

[31] იხ., მაგალითად, Gascón, Francesc Joan Fondevila / Garcia-Navas, Raul Lopez: New Digital Production Models: The Consolidation of the Copyleft, in: DeVoss Daniele, Nicolle / Rife, Martine Courant: Cultures of Copyright, Peter Lang 2015, p. 69.

[32] ლექციებისა და სემინარების ჩატარების ონლაინ ფორმატი გარდაუვალი იყო კოვიდ პანდემიის გამო განსაკუთრებით 2020-2022 წლებში.

ევროპისმცოდნეობის პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათი, ასევე, გვაახლოებს სოკრატულ მეთოდთან. ხსენებული პროგრამის სტუდენტებს განსხვავებული საფუძვლები აქვთ: ზოგ მათგანს სამართლის საფუძვლები არც აქვს შესწავლილი, რაც გარდაუვლად აჩენს კითხვების დასმის საჭიროებას. ამას გარდა, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სწავლება იზოლირებულად კი არ ხდება, არამედ მთელი ინტერდისციპლინური პროგრამის კონტექსტში; დისკუსიების გზით განიხილება მისი შესაბამისობა ევროპული კავშირის ზოგადი პოლიტიკისადმი და აგრეთვე, ცალკეული ქვეყნების მიერ თავიანთ კანონმდებლობათა ჰარმონიზაციის მცდელობები. სასწავლო კურსის სილაბუსი იმგვარად არის შედგენილი, რომ უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ინტელექტუალური საკუთრების ძირითად ცნებათა განმარტებასა და კრიტიკულ ანალიზს. ამგვარი თეორიული ცოდნის მისადაგება პრაქტიკული მაგალითებისადმი, აგრეთვე, მნიშვნელოვანია. სილაბუსის ხსენებული ელემენტები, ისევე, როგორც ევროპისმცოდნეობის მთლიანი პროგრამის ხასიათი კიდევ ერთხელ ადასტურებს სოკრატული მეთოდის გამოყენების მართებულობას.

რამდენადაც ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს საავტორო უფლებასაც (*copyright* -საც) და ინდუსტრიულ საკუთრებასაც, ხოლო ხსენებული სილაბუსი ორივე მათგანს ფარავს, ქვემოთ წარმოვადგენთ ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ხსენებული დარგების მახასიათებელთა მოკლე მიმოხილვას.

1 საავტორო უფლებისა და Copyright-ის წინააღმდეგობანი

სოკრატული მეთოდის მიხედვით, თავდაპირველად საჭიროა ძირითად ცნებათა განმარტება, რაც განსაკუთრებით რელევანტურია ჩვენს შემთხვევაში, რადგან copyright-სა და საავტორო უფლებას შორის ურთიერთმიმართების საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივია. პირველი მათგანი შეიქმნა გაერთიანებულ სამეფოში 1710 წელს ბეჭდური პროდუქციის მზარდი რაოდენობის შედეგად,[33] მეორე კი, საფრანგეთის რევოლუციისა და ადამიანის უფლებათა დოქტრინის განვითარების შედეგად წარმოიშვა იმავე საუკუნის ბოლოს[34]. ეს ორი ცნება, განსხვავებული წარმოშობისანი რომ არიან და სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს მიეკუთვნებიან,[35] კიდევ ბევრი რამით განსხვავდებიან ერთიმეორისგან და მათი ჰარმონიზების გზაზე არაერთ სირთულეს უქმნიან ევროპული კავშირის კანონმდებლებს.[36] Copyright უფრო ქონებრივ უფლებებზეა ფოკუსირებული, ხოლო საავტორო უფლება მეტწილად მორალურ უფლებებზეა ორიენტირებული, რაც, ასევე, მნიშვნელოვანი განსხვავებაა და ნოყიერ ნიადაგს იძლევა დისკუსიისთვის - რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მსგავსი დისკუსიის გამართვა შეიძლება, ერთი მხრივ, საავტორო უფლების მფლობელისა და, მეორე მხრივ, საზოგადოების ინტერესთა დაპირისპირების შესახებ, რადგან ამ ინტერესებს შორის ბალანსის პოვნა საავტორო სამართლის ერთ-ერთი გამოწვევათაგანია. ბოლოს, თვით საავტორო სამართლის არსებობის მიზანშეწონილობაც (raison d'etre) აქტუალური საკითხია, რადგან არსებობენ ალტერნატიული მოძრაობები,[37] კითხვის ნიშნის ქვეშ რომ აყენებენ სამართლის ამ დარგის არსებობასაც კი. როგორც ვხედავთ, საავტორო სამართალი არაერთ იმგვარ საკითხს გვთავაზობს, რომელთა სოკრატული მეთოდის მიხედვით განხილვაც მიზანშეწონილი იქნებოდა.

2 ინდუსტრიული საკუთრების სამართლის პრობლემური საკითხები

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის უნივერსალური სტრუქტურის მიხედვით, მისი დანარჩენი ნაწილი ეთმობა ინდუსტრიულ საკუთრებას, რომელიც, თავის მხრივ, ასევე, სხვადასხვა ნაწილებისგან შედგება, ესენია: პატენტი, სავაჭრო ნიშანი, დიზაინი, გეოგრაფიული აღნიშვნები და სხვა, შედარებით ახალი სფეროები.

---

[33] იხ. Stokes, Simon, Art and Copyright, Hart Publishing 2003, p. 23.

[34] იხ. Berger, Christian, European Copyright in Germany – A brief Overview, in: Enders, Christoph / Kusumandra, Afifah / Mrozek, Anna, United in Diversity: Freedom, Property and Property Rights, Leipziger Universitätsverlag 2014, p. 91.

[35] აქ ვგულისხმობთ საერთო სამართლისა და კონტინენტურ ევროპულ სამართლებრივ სისტემებს.

[36] იხ. Aplin, Tanya, Subject Matter, in: Derclaye, Estelle, Research Handbook on the Future of EU Copyright, Edward Elgar Publishing 2009, p. 54.

[37] ე.წ. Copyleft და თავისუფალი გამოყენების დოქტრინა, იხ. Gascón, Francesc Joan Fondevila / Garcia-Navas, Raul Lopez: New Digital Production Models: The Consolidation of the Copyleft, in: DeVoss Daniele, Nicolle / Rife, Martine Courant: Cultures of Copyright, Peter Lang 2015, p. 69.

პატენტი თავიდანვე იმიტომ შეიქმნა, რომ უფლების დარღვევისგან დაეცვა გამომგონებელი და მისი გამოგონება, რასაც ხელი უნდა შეეწყო ტექნოლოგიების განვითარებისთვისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის როგორც საერთაშორისო, ასევე, შიდაეროვნულ ბაზარზე.[38] თუმცა, სადღეისოდ ხშირად აღნიშნავენ, რომ პატენტი გადაიქცა ინოვაციის შემაფერხებლად და გაბატონებული პოზიციის ბოროტად გამოყენების იარაღად.[39] როგორც ვხედავთ, აქ პატენტის არსებობის მიზანშეწონილობა, საავტორო უფლების მსგავსად, ეჭვქვეშ დგას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის სოკრატული მეთოდით განხილვა საინტერესო იქნება.

სავაჭრო ნიშანი, თავისი დინამიური ხასიათიდან გამომდინარე, არაერთ წინააღმდეგობრივ საკითხს აერთიანებს. კვლევის ავტორის პედაგოგიური გამოცდილების მიხედვით, რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები ხშირად წარმოადგენენ დისკუსიის საგანს. სავაჭრო ნიშნების მარეგულირებელი ნორმების მიხედვით, მარეგისტრირებელმა ორგანოებმა არ უნდა დაარეგისტრირონ ის სავაჭრო ნიშნები, „რომლებიც ეწინააღმდეგებიან საჯარო პოლიტიკისა და მორალის აღიარებულ პრინციპებს“.[40] სწორედ, ამ 'საჯარო პოლიტიკისა' და 'მორალის პრინციპების' განმარტებაა საკამათო საკითხი. სოკრატული მეთოდის მიხედვით, ჯერ ეს ცნებები უნდა განიმატოს და შემდეგ მოხდეს მათი კრიტიკული განხილვა, რაც საინტერესო შედეგამდე მიგვიყვანს.

დიზაინის სამართალი მოიცავს პრაქტიკულ შემთხვევებს, სადაც კონკრეტული დიზაინის დაცვის მიზანშეწონილობა სადავოა. იგივე შეიძლება ითქვას *გეოგრაფიული აღნიშვნების* სამართლის შესახებ, სადაც კონკრეტული ობიექტების დაცვის საკითხი შეიძლება განხილულ იქნას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის დინამიური ხასიათიდან გამომდინარე, კიდევ არაერთი სფერო არსებობს, რომელიც ახლახანს წარმოიქმნა, ან და უახლოეს მომავალში შეიქმნება. ამავე სფეროს მიეკუთვნება, მაგალითად, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების, სავაჭრო საიდუმლოებისა და 'გუდვილის' დაცვა, ისევე, როგორც სხვა ობიექტებისა. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის დინამიური ხასიათი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ახალ ობიექტთა წარმოშობის პროცესის სოკრატული მეთოდით განხილვისთვის.

დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავდა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სწავლებისას სოკრატული მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობის განხილვას. კვლევა დაფუძნებულია ევროპისმცოდნეობის პროგრამის ფარგლებში ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სწავლების ავტორისეულ გამოცდილებაზე. დასაწყისში განხილულ იქნა სოკრატული მეთოდი და მისი ის მახასიათებლები, რომელთა რელევანტურობაც ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სწავლებისას შემდგომში დადასტურდა. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კონკრეტული წინააღმდეგობრივი საკითხები, რომელთა სოკრატული მეთოდით განხილვაც მიზანშეწონილად ჩაითვალა, წარმოდგენილია კვლევის მეორე ნაწილში. ამ მეორე ნაწილის სტრუქტურა აგებულია კვლევის ავტორის მიერ შემუშავებული ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით. ხსენებული სტრუქტურის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრება დაყოფილია ორ ძირითად ნაწილად, ესენია: საავტორო უფლება და ინდუსტრიული საკუთრება. კვლევამ დაადასტურა სოკრატული მეთოდის რელევანტურობა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სწავლებისას. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება, ერთი მხრივ, სოკრატული მეთოდის სიცოცხლისუნარიანობას, ხოლო მეორე მხრივ, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის დინამიურსა და წინააღმდეგობრივ ხასიათს. კვლევა განიხილავს სოკრატული მეთოდის ზოგად რელევანტურობას ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სწავლებისას და იძლევა შესაძლებლობას, რომ ხსენებული მეთოდით საავტორო, საპატენტო, დიზაინის, სავაჭრო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშნვების სამართლის სწავლების საკითხი მომავალში უფრო დეტალურად იქნას განხილული.

[38] იხ. Bagley, Margo A., Introduction, in: Patent Law in Global Perspective, Edited by Ruth L. Okediji, Margo A. Bagley, Oxford University Press, 2014, p. xv.

[39] იხ. Straus, Joseph, Patent Application: Obstac, le for Innovation and Abuse of Dominant Position under Article 102 TFEU?, in: Journal of European Competition Law & Practice, Volume 1, Issue 3, June 2010, p. 189.

[40] იხ. Regulation (EU) 2017/1001 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 on the European Union trade mark, Article 7, 1 (f).

ბიბლიოგრაფია

ნიცშე ფრიდრიხ, ტრაგედიის დაბადება, გერმანულიდან თარგმნა გიორგი მესხმა, ჩვენი მწერლობა, თბილისი 2017.

ჰერაკლიტე, ფრაგმენტები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, წიგნიდან: ბაჩანა ბრეგვაძე, თხზულებები და თარგმანები, ახალი თარგმანები, 2006.

Aplin, Tanya, Subject Matter, in: Derclaye, Estelle, Research Handbook on the Future of EU Copyright, Edward Elgar Publishing 2009, pp. 49-77.

Bagley, Margo A., Introduction, in: Patent Law in Global Perspective, Edited by Ruth L. Okediji, Margo A. Bagley, Oxford University Press, 2014.

Berger, Christian, European Copyright in Germany – A brief Overview, in: Enders, Christoph / Kusumandra, Afifah / Mrozek, Anna, United in Diversity: Freedom, Property and Property Rights, Leipziger Universitätsverlag 2014, pp. 89-107.

Brisson, Luc, Plato and the Socratics, in: Socrates and the Socratic Dialogue, Edited by Alessandro Stavru, Christopher Moore, Brill 2018, pp. 237-267.

Cirne-Lima Carlos, Dialectic for Beginners, Porto Alegre, 1997.

Corradi, Michele, Protagorean Socrates, Socratic Protagoras: A Narrative Strategy from Aristophanes to Plato, in: Socrates and the Socratic Dialogue, Edited by Alessandro Stavru, Christopher Moore, Brill 2018, pp. 84-104.

Denyer, Nicholas, Introduction, in: Plato, Protagoras, Cambridge University Press 2008.

Dillon, James J., Teaching Psychology and the Socratic Method: Real Knowledge in a Virtual Age, Palgrave Macmillan 2016.

Drozdek, Adam, Peoples, Katarzyna, Using the Socratic Method in Counseling: A Guide to Channeling Inborn Knowledge, Routledge 2018.

Emlyn-Jones, Chris, Early Socratic Dialogues, Penguin Books 2005.

Gascón, Francesc Joan Fondevila / Garcia-Navas, Raul Lopez, New Digital Production Models: The Consolidation of the Copyleft, in: DeVoss Daniele, Nicolle / Rife, Martine Courant, Cultures of Copyright, Peter Lang 2015, pp. 64-74.

Giuseffi, Frank, How the Socratic Method Engenders Authentic Educational Experiences, Lexington Books, 2021.

Heraclitus, Fragments, Translated by G. T. W. Patrick, Digireads 2020.

Homer, The Odyssey, Translated by Dominic Rieu, Penguin Books, 2003.

Huschke, Philipp Eduard: Ueber das Recht des nexum und das alte römische Schuldrecht: eine rechtshistorische Untersuchung, Leipzig: Gebauer, 1846.

Kerferd G. B., The Sophistic Movement, Cambridge University Press 2001.

Lang, Mabel, Socrates in the Agora (Excavations of the Athenian Agora: Picture Book), American School of Classical Studies at Athen, 1978.

Meskhi, George, From Soviet to European Copyright: The Challenges of Harmonizing the Copyright Legislations of Post-Soviet Non-EU States with the European Copyright Law (Georgian Case), Refubium, Berlin 2019.

Nietzsche, Friedrich, Die Geburt der Tragödie, Outlook Verlag 2018.

O'Grady, Patricia, What is a Sophist?, in: The Sophists, An Introduction, Edited by Patricia O'Grady, Bloomsbury, 2008.

Plato, Apology, Translated By Benjamin Jowett, Qasim Idrees, 2017.

Seville, Catherine, EU Intellectual Property Law and Policy, Second Edition, Edward Elgar Publishing 2016.

Stokes, Simon, Art and Copyright, Hart Publishing 2003.

Straus, Joseph, Patent Application: Obstac, le for Innovation and Abuse of Dominant Position under Article 102 TFEU?, in: Journal of European Competition Law & Practice, Volume 1, Issue 3, June 2010, pp. 189–201.

Regulation (EU) 2017/1001 of the European Parliament and of the Council of 14 June 2017 on the European Union trade mark.

41